სასწავლო ხელშეკრულება N

ქ. მარნეული ---------- 202_ წელი

ერთი მხრივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება _____ (ს/კ _____)მისამართი: _____, წარმოდგენილი მისი დირექტორის _____სახით (შემდგომში ,,კოლეჯი“) და მეორე მხრივ, მოქალაქე _____ პ/ნ _____ დაბადებული _____ მცხოვრები _____, (შემდგომში ,,პროფესიული სტუდენტი“), შემდგომში ერთობლივად მოხსენებული როგორც ,,მხარეები“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის სასწავლო ურთიერთობების მოწესრიგება.

2. წინამდებარე ხელშეკრულებით კოლეჯი იღებს ვალდებულებას მიიღოს პროფესიული სტუდენტი _____ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მუხლი 2. უფლებები და ვალდებულებები

<u>1. კოლეჯი უფლებამოსილია:</u>

1.1.მოსთხოვოს პროფესიულ სტუდენტს კოლეჯის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და სხვა შიდა სამართლებრივი რეგულაციების მოთხოვნების დაცვა.

<u>2. კოლეჯი ვალდებულია:</u>

2.1. უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტისთვის სწავლისა და სწავლების ადეკვატური პირობების შექმნა;

2.2. მისცეს პროფესიულ სტუდენტს ხარისხიანი განათლება;

2.3. უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტი ყველა იმ აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის პროფესიონალად ჩამოყალიბებასა და სამომავლო დასაქმებას;

2.4. არ დაუშვას არანაირი სახის დისკრიმინაცია პროფესიულ სტუდენტთან მიმართებით;

2.5. კოლეჯის ტერიტორიაზე უზრუნველყოს სწავლის უსაფრთხო პირობების შექმნა;

2.6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში გასცეს პროფესიულ სტუდენტზე შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი.

<u>3. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია:</u>

3.1. მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში.
3.2. მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა სამართლებრივი რეგულაციებით, წინამდებარე ხელშეკრულებითა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
3.3. ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
3.4. მიიღოს კოლეჯის ადმინისტრაციისგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და კოლეჯის სხვა რესურსების შესახებ;
3.5. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი, მოითხოვოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
3.6. საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;
3.7. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;
3.8. დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, რაიმე საფუძვლით დისკრიმინაციის ან/და შეურაცხყოფისაგან;
3.9. წერილობით გაასაჩივროს პროფესიული განათლების მასწავლებლის, დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის ან სხვა პროფესიული სტუდენტის არამართლზომიერი ქმედება მის მიმართ (პროფესიული სტუდენტის ზემოაღნიშნული საჩივარი წარედგინება კოლეჯის დირექტორს);
3.10.სასამართლოში გაასაჩივროს კოლეჯის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;
3.11.აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს მის მიერ მიღებული უარყოფითი შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადების საფუძველზე;
3.12.საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებაში;
3.13.მიიღოს მონაწილეობა კოლეჯის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებაში.
3.14.განახორციელოს მისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის სამართლებრივი რეგულაციებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

<u>4. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:</u>

4.1. შეასრულოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნები;
4.2. გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს, გამოიყენოს ის დანიშნულებისამებრ და დაიცვას უსაფრთხოების ზომები;
4.3. არ მოახდინოს ალკოჰოლური სასმელის, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული სხვა ნივთიერებების რეალიზაცია, რეკლამირება/პროპაგანდა ან/და მოხმარება კოლეჯის შენობა-ნაგებობასა და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. თამბაქოს მოხმარება დასაშვებია შინაგანაწესის შესაბამისად კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრულ სპეციალურ ადგილას;
4.4. არ გადაადგილდეს კოლეჯის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან/და ფსიქოტროპული თრობის მდგომარეობაში.
4.5. არ ატაროს და არ გამოიყენოს სანადირო, სპორტული, ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერება, ასაფეთქებელი მოწყობილობა და ცივი იარაღი კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე;

4.6. არ ითამაშოს აზარტული თამაშები კოლეჯის ტერიტორიაზე;

4.7. არ გამოიყენოს მობილური ტელეფონი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას (აუდიტორიებში, სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიებში);

4.8. არ განახორციელოს პოლიტიკური აგიტაცია კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე;

4.9. მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს სასწავლო პროცესის ჩაშლას ან ჩაშლის მცდელობას;

4.10. მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს ძალადობის, შეურაცხყოფისა და ცილისწამების ფაქტს პროფესიული სტუდენტების და კოლეჯის პერსონალის მიმართ;

4.11.არ სცადოს შეფასების მიღება პროფესიულ მასწავლებელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებებით;

4.12.სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით არ გამოიყენოს პლაგიატი;

4.13.პატივი სცეს სხვა პროფესიული სტუდენტის და კოლეჯის პერსონალის უფლებებსა და თავისუფლებებს;

4.14.არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს კოლეჯის რეპუტაციასა და პრესტიჟს;

4.15.დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი რეგულაციებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუხლი 3. ხელშეკრულების შეწყვეტა/მოშლა

1. წინამდებარე ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება:

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლისას;

1.2. მხარეთა მიერ ახალი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, რომლითაც ძალადაკარგულად იქნება გამოცხადებული წინამდებარე ხელშეკრულება;

1.3. კოლეჯის ან/და პროფესიული სტუდენტის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

1.4. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში.

2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე მოშლა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.

3. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე მოშლა არ ათავისუფლებს არცერთ მხარეს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

4. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა ფორმდება წერილობით.

მუხლი 5. ხელშეკრულების სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს კოლეჯის შინაგანაწესთან, ეთიკის კოდექსთან და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესთან ერთად.

2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი იდენტური იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების თითოეულ მხარესთან.
3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე.

მხარეთა ხელმოწერა

კოლეჯი	**პროფესიული სტუდენტი**
_____	სახელი, გვარი : _____
ელ-ფოსტა: _____	პირადი N_____
მისამართი: _____	მისამართი:_____
საიდენტიფიკაციო კოდი:_____	საკონტაქტო ნომერი:_____
	ელ. ფოსტა:_____
_____	_____
დირექტორი	სახელი გვარი, ხელმოწერა

ნიმუში

გავეცანი ჩემს ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგზავნილ კოლეჯის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექს და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

_____